ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
შრ.საპრ.N 1 -18

ქ. თბილისი

5 აპრილი, 2018 წელი

ერთი მხრივ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით,

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12,
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982,
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
(შემდგომში - შემსყიდველი)

და მეორე მხრივ,

შპს „პროექტმშენკომპანი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **რაგული რაზმაძის** სახით
(შემდგომში - მიმწოდებელი)
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ახალშენის ქ. N11/13
საიდენტიფიკაციო კოდი: 204979103
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE 33 BG 0000 0008 8898 6301

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც„მხარეები",

„საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 მარტის №943 განკარგულების (SMP180000773), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ამავე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის 2018 წლის 5 აპრილის №3245-2 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)- ახალციხის საავტომობილო გზის კმ91+800 მონაკვეთზე დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ხელშეკრულების დანართის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად - (შემდგომში მომსახურება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **125 000.00 (ას ოცდახუთი ათასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, მომსახურების კომპონენტების მიხედვით, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების გამოთვლის წესი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. მომსახურების შესრულების ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **2018 წლის 20 აპრილის ჩათვლით.**

2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს **ტექნიკური დავალებით (ხელშეკრულების დანართი N1)** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით (დანართი N1) განსაზღვრული მომსახურების გაწევის პირობების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

5. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება, ჯამურად, ამ პუნქტში მოცემული კომპონენტების შესაბამისად, განისაზღვრება შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით წარმოდგენილი სამუშაოების ღირებულების 2.5%-ით, მაგრამ არაუმეტეს 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად მიღებული, საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლისა და ლაბორატორიული კვლევების ღირებულებით, ფაქტობრივად გაბურღული ჭაბურღილ(ებ)ის სიგრძის შესაბამისად (1 გრძ.მ. ჭაბურღილის გაბურღვის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 180 ლარს), მაგრამ არაუმეტეს - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდისთაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის გაწეული მომსახურების შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 70 %-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 6. გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების 10%, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება მომსახურების მიღება-ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი), გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.

2. საგარანტიო პერიოდში (1 წელი) წლის განმავლობაში ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. თუ საგარანტიო პერიოდში სამუშაოების განხორციელების პროცესში შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტ(ებ)ი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ დეფექტ(ებ)ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს გაწეული საპროექტო მომსახურების ფარგლებში დაკავებული თანხა გამოვლენილი ხარვეზის ღირებულების პროპორციულად. ამასთან, თუ აღმოჩნდება რომ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა არაა საკმარისი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

4. თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაკავებული თანხა, 10%-ის ოდენობით სრულად.

მუხლი 7. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. მომსახურებისთვის საჭირო საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით, გაწეული მომსახურების საფუძველზე შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოების დაწყების შემდეგ სამუშაოების დასრულებამდე პერიოდში, მომსახურების გაწევის ვადის მიუხედავად.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (საინჟინრო-გეოლოგიური და ლაბორატორიული კვლევები, ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის შემდგომ დგება საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების

ორმხრივი აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა დასრულებულ საპროექტო დოკუმენტაციას - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" ან შესაბამის სფეროში სხვა აკრედიტირებულ პირთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადებითი საექსპერტო დასკვნის შემსყიდველისათვის წარდგენის შემდგომ, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის შემსყიდველისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფორმდება საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

6. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტი.

7. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

8. მომსახურებას შემსყიდველის მხრიდან იბარებს შემსყიდველის სტრუქტურული ქვედანაყოფი - **საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკური სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში განსახლების სამსახური და გარემოს დაცვის სამსახური**.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს **მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული ვადის შესაბამისად;**

დ) შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წარდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია შემსყიდველს სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ;

ზ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება;

თ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, ხელი შეუშალოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

ი) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით;

კ) საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

ლ) საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნით, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამის საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" ან შესაბამის სფეროში სხვა აკრედიტირებულ პირის დასკვნა საპროექტო დოკუმენტაციის შესახებ;

მ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადის შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის მიერ დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენიდან გონივრულ ვადაში განიხილოს მისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე, ვადაში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ლარისა, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გამოიწვია სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც დადგენილია შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;

გ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

ზ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;

თ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისათვის და უფლებამონაცვლეებისთვის.

2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 14. ქვეკონტრაქტორები

1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წერილობით აცნობოს, თუ რა მოცულობის მომსახურება გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წერილობით უნდა ეცნობოს შემსყიდველს.

4. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან.

მუხლი 15. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - info@georoad.ge) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 16. კონტროლი (ინსპექტირება)

1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის, მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს - **საავტომობილო გზების საინჟინრო-ტექნიკურ სამსახურს, კომპეტენციის ფარგლებში განსახლების სამსახურს და გარემოს დაცვის სამსახურს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ფინანსების მართვის სამსახურს.**

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 17. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი -შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. მიმწოდებლის ტექნიკური დავალება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 21 მაისის ჩათვლით,** გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი:	მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	შპს „პროექტმშენკომპანი“
ალექსანდრე თევდორაძე	[illegible]

ტექნიკური დავალება

1. გასაწევი საპროექტო მომსახურება

1.1. გასაწევი საპროექტო მომსახურების დასახელება.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ91+800 მონაკვეთზე დაზიანებული მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევა და საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობა.

გასაწევი მომსახურება გულისხმობს;

- საინჟინრო–გეოლოგიური შესწავლა და ლაბორატორიული გამოკვლევის განხორციელებას.
- საპროექტო სამუშაოების შესრულებას.

1.2. მომსახურების ძირითადი სახეობები:

1. საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
2. საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია);
3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;
4. გარემოს მართვის გეგმის მომზადება;

1.3. მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს:

1) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
2) ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა;
3) პროექტის კორექტირება;
4) თარგმანი ქართული ენიდან ინგლისურ ენაზე და პირიქით;
5) ცალკეულ ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობა;
6) ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;
7) გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
8) განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
9) ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება;

10) სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების შესაბამისად.

11) საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა.

12) საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის №42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ" შესაბამისად)

13) წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით" დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა)

1.4 მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:

– მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს – 2018 წლის 20 აპრილის ჩათვლით.

2. აღდგენითი სამუშაოების ზოგადი პირობები კონკრეტული ობიექტისთვის

მომსახურების გაწევის შედეგად დამუშავებული ყველა დოკუმენტი; მათ შორის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და შემსყიდველისათვის მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

2.1 დავალების შემადგენლობა

გასაწევი მომსახურება მოიცავს საველე საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- საპროექტო მომსახურება განახორციელოს "საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი"-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის №172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაცემული საპროექტო დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით,
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
- პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები, ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით, საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

2.2 სამუშაო ადგილის მომზადება

მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ გასაწევი მომსახურებისათვის საჭირო ყველა საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტისა და ყველა სავალე სამუშაოსთვის საჭირო ხელსაწყოსა და ტექნიკის უზრუნველყოფაზე.

2.3. მოძრაობის ორგანიზაცია

შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო, საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.

საჭიროების შემთხვევებში, დასაშვებია საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ იქნას მშენებლობის პერიოდში ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა.

2.4. ტექნიკური რეგლამენტები და ნორმატიული დოკუმენტები

რეკომენდირებულია და მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს:

– საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები და მათ საფუძველზე დამუშავებული ტექნიკური რეკომენდაციები, სახელმძღვანელოები და მითითებები;

შენიშვნა: საპროექტო ნორმებსა და რეგლამენტებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.

2.5. აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები

2.5.1. აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება:

ა. დაზიანებული მიწის ვაკისის, სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობებისა და სხვათა კაპიტალური, ან დროებითი აღდგენითი ღონისძიებების გატარებით;

ბ. მთლიანად უნდა აღდგეს, ან გაუმჯობესდეს დაზიანებული გზის ტექნიკური და საექსპლუატაციო პარამეტრები და უზრუნველყოფილი იქნას მოძრაობის უსაფრთხოება;

გ. დაზიანებული ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების აღდგენა, ბურჯების და სარეგულაციო ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გამაგრებები. საჭიროების შემთხვევაში ახალი სარეგულაციო ნაგებობების მოწყობა, არსებული დაზიანებული წყალგამტარი მილების ახლით შეცვლა და სხვა.

დ. საჭიროების შემთხვევაში, ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, საგზაო სამუშაოები ხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული მოცულობების, ხოლო პროექტირების დასრულების შემდეგ, საბოლოოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით;

3. სავალე - საკვლევაძიებო სამუშაოები

აღდგენითი სამუშაოების ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები ამ თავში მოცემული სამუშაოების სახეობებიდან.

საპროექტო სამუშაოების პროცესში უნდა ჩატარდეს მეწყრული ტანის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური შესწავლა, რაც ითვალისწინებს დაზვერვის ჭაბურღილების გაყვანას ამისათვის საჭირო სპეციალურად დანიშნულ ადგილებში. ასევე, შურფების გათხრასა და ელექტროდაზვერვითი სამუშაოების შესრულებას, რის საფუძველზეც შემუშავებულ იქნება ფერდის მდგრადობის უზრუნველყოფის საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტილებები.

შენიშვნა: აქ მოცემულია იმ სამუშაოთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ზოგადად საკვლევაძიებო სამუშაოების ჩასატარებლად. ამიტომ, ასევე გამოყენებული

უნდა იქნას საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები და სტანდარტები, სადაც სრულად არის მოცემული კვლევების ჩატარების მეთოდები და საშუალებები

3.1. საინჟინრო–ტოპოგეოდეზიური სამუშაოები

ა). კვლევა-ძიების საველე ეტაპი უნდა მოიცავდეს:

ა. სტიქიის მიერ დაზიანებული, ან პრევენციულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული არსებული გზის მონაკვეთის პიკეტაჟის ჩატარების პროცესში ტრასის სიტუაციური გეგმის შედგენა, ტრასის დამაგრება და ხელოვნური ნაგებობების ღერძების მიბმა მასთან;

ბ. საპროექტო გზის მონაკვეთის ტოპოგეოდეზიური ტახეომეტრიული გადაღება მასშტაბით 1:1000, ან 1:500. იმ მოცულობით, რაც აუცილებელია გზის სტიქიური მოვლენით დაზიანების დასაფიქსირებლად, ან პრევენციული ღონისძიებების ჩასატარებლად. რელიეფის ტოპოგეოდეზიური გადაღებები დამუშავებული უნდა იქნას აბსოლუტურ **UTM** კოორდინატთა სისტემაში;

გ. საინჟინრო-გეოლოგიური გამონამუშევრების (არსებობის შემთხვევაში) მიბმა ტრასასთან და ხელოვნურ ნაგებობებთან;

დ. განივი პროფილების გადაღება მრუდეებსა და მთაგორიან ადგილებში 20 მეტრში, ხოლო სწორი რელიეფის პირობებში ყოველ პიკეტზე და დამახასიათებელ წერტილებში;

ე. საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების (საჰაერო ხაზების, ელექტროგადაცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის და სხვა) საპროექტო ტრასასთან გადაკვეთა და შესაბამისი ადგილები და შეთანხმდეს მათთან გადაკვეთის/გადატანის პირობები;

ბ). კამერალური სამუშაოები უნდა მოიცავდეს:

ადგილზე (ველზე) ჩატარებული ტოპო-გეოდეზიური და აზომვითი სამუშაოების შედეგების გაანალიზებას, საჭირო გაანგარიშებების ჩატარებასა და გრაფიკული და ტექსტური მასალების დამუშავებას ოფისის პირობებში, ასევე საჭირო შეთანხმებების დოკუმენტების უზრუნველყოფას.

3.2. არსებული ნაგებობების აზომვები საკვლევაძიებო სამუშაოების წარმოების დროს

ა. ჩატარდეს არსებული წყალგამტარი მილების აზომვები ძირითადი ზომების და ჭრილების ჩვენებით, ვიზუალურად დადგინდეს მათი მდგომარეობა და ვარგისიანობა მომავალში შესაძლო გამოყენების მიზნით;

საჭიროების შემთხვევაში:

დ. გაზომილი და დაფიქსირებული უნდა იქნას არსებული წყალსადენებისა და სხვა კომუნიკაციების მდგომარეობა საპროექტო ტრასასთან მიბმით.

ვ. შეირჩეს სავარაუდო ტრასა კომუნიკაციების გადასატანად;

ზ. მიბმული იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები.

თ. საპროექტო გადაწყვეტილებები შეთანხმდეს სათანადო კომუნიკაციების მფლობელთან არსებული წესით

3.3. საინჟინრო – გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები

საველე საკვლევაძიებო და ლაბორატორიუკლი სამუშაოების დასრულების შემდეგ, კვლევების საფუძველზე განისაზღვრება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე საპროექტო დოკუმენტრაციის მომზადების შესაძლებლობა და დამუშავდება გასატარებელი ღონისძიებები და განხილულ დეპარტამენტში.

მეორე ეტაპზე მომზადდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დეპარტამენტთა შეთანხმებული ღონისძიებების მიხედვით.

შემოთავაზებული წეინადადება უნდა უზრუნველყოფდეს გზის ვაკისის დაცვას. მეწყერული მასივის საპროექტო წინადადება უნდა მოიცავდეს ყველა იმ საკითხის გელოგიურ, ჰიდროლოგიურ, კაპიტალურ საინჟინრო და ეკონომიკურ დასაბუთებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს სრულად უზრუნველყოს ყრილის მდგრადობა გზის ექსპლოატაციის ხანგძლივ პერიოდში.

კონტრაქტორი ვალდებულია:

ა. შეისწავლოს მთის ფერდობზე (სადაც მოწყობილია გზის ყრილი) სავარაუდოდ არსებული მეწყრული ტანების გავრცელების ფართობი და სიღრმე ჭაბურღილების, ან სხვა თანამედროვე ზუსტი მეთოდების საშუალებით, დაადგინოს გეოლოგიური ფენების სიმძლავრეები, მათი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, მეწყერული დაცურების სიბრტყეები;

ბ. დაადგინოს გრუნტის წყლების არსებობა, მათი ნიშნულები, დინების მიმართულება და ქიმიური შემადგენლობა;

გ. შეასრულოს ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები იმ ფართობსა და მოცულობით, რაც აუცილებელია საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტილებების მისაღებად;

დ. გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ყრილის მდგრადობის უზრუნველსაყოფად თანამედროვე საინჟინრო კაპიტალური ღონისძიებები სრული მოცულობით;

ობიექტის შესწავლის შემდეგ კონტრაქტორი ვალდებულია დამკვეთს წარუდგინოს შესასრულებელი საკვლევაძიებო სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები შესათანხმებლად, ასევე გაითვალისწინოს გზის დანარჩენ მონაკვეთებზე აღმოჩენილი დაზიანებების შემთხვევაში საჭირო დამატებითი კვლევების მოცულობები და სახეობები. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინადადებები დავალებაში კორექტივების შეტანის შესახებ.

4. კამერალური სამუშაოები.

ა. ტრასის გასწორხაზებული გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1:1000; 1;500

ბ. გზის ტრასის სიტუაციური, ან ტოპოგეგმა გამოიხაზოს სირთულის პირობების მიხედვით: რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000; გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000;

გ. გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 – 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 – 1 : 100;

გ. განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

დ. ტოპოგრაფიული გეგმები გამოიხაზოს ნორმალურ პირობებში მასშტაბში 1 : 1000 რთული რელიეფის და ქალაქის პირობებში მასშტაბში 1 : 500;

ე. სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;

ვ. ხელოვნური ნაგებობების ნახაზები უნდა შესრულდეს 1:200, 1:100, 1:50, 1:20, 1:10 და 1:5 მასშტაბებში:

ზ. ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

5. კუთვნილება

ამ მომსახურებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას.

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების სრული მოცულობის ელექტრონული (pdf და dwg) ვერსია.

6. საავტორო ზედამხედველობის განხორციელების წესი

საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას, ამ სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში ობიექტის ექსპლოატაციაში მიღების ჩათვლით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ეკოლოგია და ბუნების დაცვა

ა. შეირჩეს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები, რაც უზრუნველყოფს არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას;

ბ. გათვალისწინებული იქნას, აუცილებლობის შემთხვევაში, ნოყიერი ზედაპირული ნიადაგის მოჭრა და მისი დროებითი გადაადგილება ნაყარში შემდგომი გამოყენების მიზნით. შეირჩეს ადგილი მისი გამოყენებისათვის განისაზღვროს ზიდვის მანძილი;

გ. დაინიშნოს ადგილები საჭიროების შემთხვევაში გრუნტის სანაყაროს მოსაწყობად, განისაზღვროს გრუნტის ზიდვის მანძილები ობიექტამდე;

დ. მოიხსნას დანიშნული კარიერის ნოყიერი ფენა, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი რეკულტივაციისათვის;

ე. დაისახოს ღონისძიებები გარემოს დაცვისათვის;

ვ. „პრევენცია სტიქია"-ს დამთავრების შემდეგ მოხდეს დროებით დაკავებული ტერიტორიების (გზებით, სამშენებლო ბანაკებით და ა.შ.) რეკულტივაცია;

ზ. სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში, საჭიროა ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, ამისათვის აუცილებელია:

1). საავტომობილო გზის შესაბამის ნაკვეთზე საკადასტრო ზომვითი ნახაზის მომზადება (shp ფაილები);

2). სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსების წინასწარი აღრიცხვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3). წითელი ნუსხის სახეობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით ჭრის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა;

8. განსახლება

ა. მიმწოდებელი, ვალდებულია განიხილოს, შეისწავლოს, ადგილზე განსაზღვროს და შეიმუშაოს საპროექტო გზის მშენებლობის მიმართულების ყველა შესაძლო ვერსია, სადაც ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს:

– დასაკავებელი მიწების (გზის განთვისების ზოლში) ოდენობა, მათი სახეობა, დანიშნულება და სხვა მახასიათებლები (შენობა-ნაგებობები, ხეხილი, ბიზნეს-საქმიანობა და ა.შ.)

– საპროექტო გზის განთვისების ზოლში მოხვედრილი მოსახლეობისათვის, მათი ქონების გამოსყიდვისა და განსახლების ქმედებებისათვის საჭირო ზომები, ზოგადი შეფასებები და ქონების დაახლოებითი ღირებულებები.

– შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების გათვალისწინებით სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შედარება და უპირატესი ვარიანტის გამოვლენა.

ბ. მიმწოდებელი ვალდებულია შერჩეულ ვარიანტზე გამოვლენილი პროექტის ზემოქმედების შემთხვევაში, მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს:

1). პროექტის აღწერა;

2). პროექტის პოტენციური ზემოქმედება;

3). პროექტის მიზნები და ამოცანები;

4). საკანონმდებლო საფუძვლები;

5). ინსტიტუციური სისტემა;

6). გსგ-ს განხორციელება;

7). შეფასების მეთოდიკა. ზარალისა და კომპენსაციის შეფასება;

8). საჩივრების პროცედურები;

9). ინსტიტუციური (ორგანიზაციული) პასუხისმგებლობა;

10). განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი;

11). განსახლების ხარჯები და ბიუჯეტი;

9. ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.

10. წარმოსადგენი დოკუმენტების რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების ეგზემპლიარების რაოდენობა

ა. საპროექტო დოკუმენტაცია – 3ეგზ. (ნაბეჭდი სახით); – 2ეგზ. (ციფრული სახით);

ბ. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 2ეგზ. (ნაბეჭდი სახით); – 2ეგზ. (ციფრული სახით);

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თბილისი **5 აპრილი 2018 წელი**

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის („ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები") შესაბამისად ვადასტურებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თანამშრომლები ქვემოაღნიშნულ მიმწოდებელთან, ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

მიმწოდებელი: **შპს „პროექტმშენკომპანი"**

ხელშეკრულება **შრ.საპრ.N 1-18**

ალექსანდრე თევდორაძე

დავით საჯაია

დავით კალაძე

გია სოფაძე

მიხეილ უჯმაჯურიძე

სალომე წურწუმია

ნათია ცხოიძე

თამარ ჯორკოშვილი

სოფიო ღვინჯილია